<u>პროექტი</u>

საქართველოს კონსტიტუციური კანონი
„საქართველოს კონსტიტუციაში ცვლილების შეტანის შესახებ“ საქართველოს კონსტიტუციურ კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე

მუხლი 1. „საქართველოს კონსტიტუციაში ცვლილების შეტანის შესახებ“ საქართველოს კონსტიტუციური კანონის (საქართველოს საკანონმდებლო მაცნე (www.matsne.gov.ge), 19.10.2017, სარეგისტრაციო კოდი: 010010000.01.001.016012) შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილება:

1. **მე-3 მუხლს დაემატოს შემდეგი შინაარსის მე-3[1] პუნქტი:**

,,3[1]. დაუშვებელია სახელმწიფოს მიტაცება და ოლიგარქიული მმართველობის ხელშეწყობა. ოლიგარქიული მმართველობის საკითხები განისაზღვრება საქართველოს კანონით”.

2. მე-60 მუხლის მე-4 პუნქტს დაემატოს შემდეგი შინაარსის ,,ლ”, ,, ლ[1]” და ,, ლ[2]” ქვეპუნქტები:

,,ლ) პარლამენტის წევრთა არანაკლებ ერთი მეხუთედის სარჩელის საფუძველზე იხილავს პირის ოლიგარქად ცნობის საკითხს.

ლ[1]) ნებისმიერი ფიზიკურ და იურიდიულ პირს სარჩელის საფუძველზე იხილავს ოლიგარქიული მმართველობის ხელშემწყობი კანონების და სხვა ნორმატიული აქტების შესაბამისობას საქართველოს კონსტიტუციის მე-3 და მე-4 მუხლებთან მიმართებით.

ლ[2]) პირის დასაბუთებული განცხადების საფუძველზე იხილავს ,,ოლიგარქთა რეესტრიდან“ პირის ამორიცხვის საკითხს.“

მუხლი 2. ეს კანონი ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს პრეზიდენტი **სალომე ზურაბიშვილი**

განმარტებითი ბარათი

საქართველოს კონსტიტუციური კანონის პროექტზე

„საქართველოს კონსტიტუციაში ცვლილების შეტანის შესახებ“ საქართველოს კონსტიტუციურ კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე

ა) ზოგადი ინფორმაცია კანონპროექტის შესახებ:

ა.ა) კანონპროექტის მიღების მიზეზი:

ა.ა.ა) პრობლემა, რომლის გადაჭრასაც მიზნად ისახავს კანონპროექტი:

შემოთავაზებული კანონის პროექტი წარმოადგენს „ოლიგარქისა და ოლიგარქიული მმართველობის წინააღმდეგ“ კანონის პროექტის თანმდევ პროექტს და მიზნად ისახავს იმ რისკების დაზღვევის მექანიზმების შემუშავებას, რომელიც არათავსებადია კონსტიტუციით აღიარებულ დემოკრატიულ სახელმწიფოსთან. ,,დეოლიგარქიზაციის” პირობა კომპლექსურად უნდა შეფასდეს და ახალი კანონპროექტის შემუშავებასთან ერთად უნდა გადაიხედოს და ცვლილებები განხორციელდეს თანმდევ კანონებშიც. ერთ-ერთი სწორედ ,,საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ” საქართველოს ორგანული კანონია. ძირითადი პროექტით შემოთავაზებული ცვლილებების თანახმად, პირის ოლიგარქად და მასთან დაკავშირებული პირების ცნობის ფაქტს ადგენს საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო. ვინაიდან აღნიშნული საქართველოს საკანონმდებლო სივრცეში წარმოადგენს სიახლეს, აუცილებელია ,,საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ” საქართველოს ორგანულ კანონის მუხლებში ცვლილებების განხორციელება.

საქართველოს პარლამენტი, როგორც საკანონმდებლო ორგანო ვალდებულია საქართველოში არსებული ფაქტობრივი მდგომარეობიდან გამომდინარე შეიმუშაოს და მიიღოს ისეთი კანონმდებლობა, რომელიც იქნება ქმედითი, აღსრულებადი და სრულად უპასუხებს იმ გამოწვევებს რაც ,,ოლიგარქიული მმართველობას” უკავშირდება. კანონის პროექტის შემუშავების პროცესში გათვალისწინებული უნდა იქნას ქვეყნის შიგნით არსებული პოლიტიკური და სამართლებრივი მდგომარეობა და შემუშავებული პროექტი მორგებული უნდა იყოს სწორედ ამ გარემოებებზე, პასუხობდეს არსებულ გამოწვევებს.

შემოთავაზებული კანონი მიზნად ისახავს იმ რისკების დაზღვევას, რომელიც არათავსებადია კონსტიტუციით აღიარებულ დემოკრატიულ სახელმწიფოსთან.

ა.ა.ბ) არსებული პრობლემის გადასაჭრელად კანონის მიღების აუცილებლობა:

მმართველობის ფორმა, რომელიც გვევლინება საქართველოს კონსტიტუციით აღიარებული დემოკრატიული მმართველობისა და ხელისუფლების შტოებს შორის ბალანსის ხელშემშლელ ფაქტორად, შესაბამისად, აფერხებს საქართველოს ევროპული ინტეგრაციას, მოითხოვს დამატებით საკანომდებლო მოწესრიგებას.

ა.ბ) კანონპროექტის მოსალოდნელი შედეგები:

2022 წლის 17 ივნისს ევროკომისიის მიერ საქართველოსთვის განსაზღვრული 12 პუნქტიდან ერთ-ერთი პუნქტის შესრულება, რაც საქართველოს დააახლოებს ევროკავშირის კანდიდატის სტატუსის მოპოვებასთან.

ა.გ) კანონპროექტის ძირითადი არსი:

კანონპროექტის მიღების შედეგად განისაზღვრება:

- საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო უფლებამოსილება კონსტიტუციური სარჩელის საფუძველზე განიხილოს და გადაწყვიტოს პირის ოლიგარქად ცნობის საკითხი და ოლიგარქიული მმართველობის ხელშემწყობი კანონების და სხვა ნორმატიული აქტების შესაბამისობა საქართველოს კონსტიტუციის მე-3 და მე-4 მუხლებთან მიმართებით;
- პირის ოლიგარქად ცნობის საკითხს განიხილავს საკონსტიტუციო სასამართლოს პლენუმი, ხოლო ოლიგარქიული მმართველობის ხელშემწყობი კანონების და სხვა ნორმატიული აქტების შესაბამისობას საქართველოს კონსტიტუციის მე-3 და მე-4 მუხლებთან მიმართებით განიხილავს საკონსტიტუციო სასამართლოს კოლეგია;
- პირის ოლიგარქად ცნობის შესახებ კონსტიტუციური სარჩელის განხილვის ვადა არ უნდა აღემატებოდეს 3 თვეს;
- ოლიგარქიული მმართველობის ხელშემწყობი კანონების და სხვა ნორმატიული აქტების ან მისი ნაწილის არაკონსტიტუციურობის დადასტურება იწვევს არაკონსტიტუციურად ცნობილი ნორმატიული აქტის ან მისი ნაწილის ძალადაკარგულად ცნობას საკონსტიტუციო სასამართლოს შესაბამისი გადაწყვეტილების გამოქვეყნების მომენტიდან;
- საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ პირის ოლიგარქად ცნობის გადაწყვეტილება "ოლიგარქისა და ოლიგარქიული მმართველობის წინააღმდეგ" საქართველოს კანონით განსაზღვრულ ოლიგარქთა რეესტრში პირის შეყვანის საფუძველია;
- საკონსტიტუციო სასამართლო დაინტერესებული პირის დასაბუთებული განცხადების საფუძველზე უფლებამოსილია განიხილოს და გადაწყვიტოს პირის ოლიგარქთა რეესტრიდან ამორიცხვის საკითხი. განცხადების დაკმაყოფილება პირის ოლიგარქთა რეესტრიდან ამორიცხვის საფუძველია;
- საკონსტიტუციო სასამართლო რიგგარეშე განიხილავს პირის ოლიგარქად ცნობის საკითხს;

ა.დ) კანონპროექტის კავშირი სამთავრობო პროგრამასთან და შესაბამის სფეროში არსებულ სამოქმედო გეგმასთან, ასეთის არსებობის შემთხვევაში (საქართველოს მთავრობისმიერ ინიციირებული კანონპროექტის შემთხვევაში):

აღნიშნული ქვეპუნქტი არ გამოიყენება წარმოდგენილ კანონპროექტთან მიმართებაში (კანონპროექტი არ არის ინიცირებული საქართველოს მთავრობის მიერ).

ა.ე) კანონპროექტის ძალაში შესვლის თარიღის შერჩევის პრინციპი, ხოლო კანონისთვის უკუძალის მინიჭების შემთხვევაში – აღნიშნულის თაობაზე შესაბამისი დასაბუთება:

კანონპროექტი ძალაში შედის გამოქვეყნებისთანავე. კანონპროექტის ძალაში შესვლის თარიღის შერჩევის პრინციპი დაკავშირებულია ევროკომისიის მიერ საქართველოსთვის განსაზღვრული ვალდებულებების დროულ შესრულებასთან, ვინაიდან ,,ოლიგარქია" არსებით გამოწვევას წარმოადგენს ჩვენი ქვეყნის ევროინტეგრაციის გზაზე, სავალდებულოა მისი აღმოფხვრა რაც შეიძლება შემცირებულ ვადებში.

ა.ვ) კანონპროექტის დაჩქარებული წესით განხილვის მიზეზები და შესაბამისი დასაბუთება (თუ ინიციატორი ითხოვს კანონპროექტის დაჩქარებული წესით განხილვას):

კანონპროექტის ავტორი არ ითხოვს პროექტის დაჩქარებული წესით განხილვას.

ბ) კანონპროექტის ფინანსური გავლენის შეფასება საშუალო ვადიან პერიოდში (კანონპროექტის ამოქმედების წელი და შემდგომი 3 წელი):

ბ.ა) კანონპროექტის მიღებასთან დაკავშირებით აუცილებელი ხარჯების დაფინანსების წყარო:

კანონპროექტის მიღება არ გამოიწვევს დამატებითი ხარჯების გამოყოფას სახელმწიფო ბიუჯეტიდან.

ბ.ბ) კანონპროექტის გავლენა სახელმწიფო, ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ან/და მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე:

კანონპროექტის მიღება გავლენას არ მოახდენს ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე

ბ.გ) კანონპროექტის გავლენა სახელმწიფო, ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ან/და მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე:

კანონპროექტით საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს ენიჭება პირის ოლიგარქად ცნობის ან ოლიგარქიული მმართველობის დადგენის უფლებამოსილება, ამ უფლებამოსილების განხორციელებისთვის საჭირო ხარჯები დაიფარება საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს საქმიანობისთვის განკუთვნილი საბიუჯეტო ასიგნებებიდან.

ბ.დ) სახელმწიფოს ახალი ფინანსური ვალდებულებები, კანონპროექტის გავლენით სახელმწიფოს ან მის სისტემაში არსებული უწყების მიერ მისაღები პირდაპირი ფინანსური ვალდებულებების (საშინაო ან საგარეო ვალდებულებები) მითითებით:

კანონპროექტის მიხედვით სახელმწიფოს არ ეკისრება ახალი ფინანსური ვალდებულებები.

ბ.ე) კანონპროექტის მოსალოდნელი ფინანსური შედეგები იმ პირთათვის, რომელთა მიმართაც ვრცელდება კანონპროექტის მოქმედება, იმ ფიზიკურ და იურიდიულ პირებზე გავლენის ბუნებისა და მიმართულების მითითებით, რომლებზედაც მოსალოდნელია კანონპროექტით განსაზღვრულ ქმედებებს ჰქონდეს პირდაპირი გავლენა:

კანონპროექტის მიღება გავლენას მოახდენს იმ პირების ფინანსურ მდგომარეობაზე, რომლებზედაც გავრცელდება მისი მოქმედება, კერძოდ იმ პირებზე, რომლებიც საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილების საფუძველზე ,,ოლიგარქად" იქნება ცნობილი.

ბ.ვ) კანონპროექტით დადგენილი გადასახადის, მოსაკრებლის ან სხვა სახის გადასახდელის (ფულადი შენატანის) ოდენობა შესაბამის ბიუჯეტში და ოდენობის განსაზღვრის პრინციპი:

კანონპროექტი არ ითვალისწინებს გადასახადის, მოსაკრებლის ან სხვა სახის გადასახდელის ოდენობის განსაზღვრას.

ბ[1]) ბავშვის უფლებრივ მდგომარეობაზე კანონპროექტის ზეგავლენის შეფასება

კანონპროექტი არ ახდენს გავლენას ბავშვის უფლებრივ მდგომარეობაზე.

გ) კანონპროექტის მიმართება საერთაშორისო სამართლებრივ სტანდარტებთან:

გ.ა) კანონპროექტის მიმართება ევროკავშირის სამართალთან:

კანონპროექტი არ ეწინააღმდეგება ევროკავშირის სამართალს.

გ.ბ) კანონპროექტის მიმართება საერთაშორისო ორგანიზაციებში საქართველოს წევრობასთან დაკავშირებულ ვალდებულებებთან:

კანონპროექტი არ ეწინააღმდეგება საერთაშორისო ორგანიზაციებში საქართველოს წევრობასთან დაკავშირებულ ვალდებულებებს.

გ.გ) კანონპროექტის მიმართება საქართველოს ორმხრივ და მრავალმხრივ ხელშეკრულებებთან და შეთანხმებებთან, აგრეთვე, ისეთი ხელშეკრულების/შეთანხმების არსებობის შემთხვევაში, რომელსაც უკავშირდება კანონპროექტის მომზადება, - მისი შესაბამისი მუხლი ან/და ნაწილი:

კანონპროექტი არ ეწინააღმდეგება საქართველოს ორმხრივ და მრავალმხრივ ხელშეკრულებებს და შეთანხმებებს, აგრეთვე კანონპროექტის მიღება არ უკავშირდება რომელიმე ხელშეკრულებას/შეთანხმებას.

გ.დ) არსებობის შემთხვევაში, ევროკავშირის ის სამართლებრივი აქტი, რომელთან დაახლოების ვალდებულებაც გამომდინარეობს „ერთი მხრივ, საქართველოსა და, მეორე მხრივ, ევროკავშირსა და ევროპის ატომური ენერგიის გაერთიანებას და მათ წევრ სახელმწიფოებს შორის ასოცირების შესახებ შეთანხმებიდან" ან ევროკავშირთან დადებული საქართველოს სხვა ორმხრივი და მრავალმხრივი ხელშეკრულებებიდან:

ასეთი არ არსებობს.

დ) კანონპროექტის მომზადების პროცესში მიღებული კონსულტაციები:

დ.ა) სახელმწიფო, არასახელმწიფო ან/და საერთაშორისო ორგანიზაცია/დაწესებულება, ექსპერტი, სამუშაო ჯგუფი, რომელმაც მონაწილეობა მიიღო კანონპროექტის შემუშავებაში, ასეთის არსებობის შემთხვევაში:

ასეთი არ არსებობს.

დ.ბ) კანონპროექტის შემუშავებაში მონაწილე ორგანიზაციის/დაწესებულების, სამუშაო ჯგუფის, ექსპერტის შეფასება კანონპროექტის მიმართ, ასეთის არსებობის შემთხვევაში:

ასეთი არ არსებობს.

დ.გ) სხვა ქვეყნების გამოცდილება კანონპროექტის მსგავსი კანონების იმპლემენტაციის სფეროში, იმ გამოცდილების მიმოხილვა, რომელიც მაგალითად იქნა გამოყენებული კანონპროექტის მომზადებისას, ასეთი მიმოხილვის მომზადების შემთხვევაში:

ასეთი მიმოხილვა არ მომზადებულა.

ე) კანონპროექტის ავტორი:

ლევან ბეჟაშვილი

ვ) კანონპროექტის ინიციატორი

ფრაქცია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ გაერთიანებული ოპოზიცია „ძალა ერთობაშია“